სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/59

ქ. თბილისი 17 დეკემბერი 2024

სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ნაერთი ბიუჯეტის შედგენის წესის“ დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, კარლო კოპალიანის 2024 წლის 13 დეკემბრის №0001609913 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2024 წლის 17 დეკემბრის №01-06-02/10 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. დამტკიცდეს სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ნაერთი ბიუჯეტის შედგენის წესი“ წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი);
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**